

შპს „ნანო სტილი“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ნანო სტილი“ 202438317

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. შპს „შპს ნანო სტილი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

აქტივები	2020	2019	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	395636	735093	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	461412	628193	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1205	1205	
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა	367486	455828	
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	313376	405103	
არამატერიალური აქტივები			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1539115	2225422	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	56507	52371	
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			

გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
სხვა ვალდებულებები	31140	731139	
სულ ვალდებულებები	87647	783510	
საკუთარი კაპიტალი	230815	230815	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1220653	1211097	
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1451468	1441912	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1539115	2225422	

სულ მოკლევადიანი აქტივები

114771

577388

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

27414

26956

დირექტორი:



ბუღალტერი:

ვ. შველიძე

თ. ცუცქირიძე

შპს „ნანო სტილი“-ს მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისთვის (ლარში)

	2020წ	2019 წ
საამშენებლო ხელშეკრულებებიდან	4634955	4656303
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	110176	216636
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3433623	-2256127
საერთო მოგება	1311508	2616812
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1468265	-2327090
ცვეთა და ამორტიზაცია	-46404	-42447
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	0	-22325
იჯარის ხარჯი	-14765	-18430
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-229614	-131683
საოპერაციო მოგება	-447540	74837
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-7480	-5780
მიღებული დივიდენდები	368421	32223
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	31140	731139
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-55459	832419

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-339457	410876
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-339457	410876
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	735093	324217
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	395636	735093

დირექტორი:

ვ. შველიძე

ბუღალტერი:

თ. ცუცქირიძე



2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნანო სტილი“ დაფუძნებულია 2008 წლის წლის 30 იანვარს, რეგისტრაციის

B18167452 საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის ვარლამ შველიძე 18001009430

1. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:~

1.1 შპს-ის „ნანო სტილი“ს ძირითადი საქმიანობაა: სარემონტო საამშენებლო საქმიანობა. ასევე საამშენებლო მასალების რელიზაცია.

1.2 მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „ნანო სტილი“ რეგისტრირებულია ორივე მიმართულებით.

1.3 ორგანიზაციას გააჩნია მხოლოდ ადმინისტრაციული და ფინანსური და დაქირავებული ხელოსნები შესასრულებელი სამუშაოებისათვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები არიან პასუხისმგებელი ფირმის კომერციული მიზნების და ამოცანების განხორციელებაზე.

ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა სარემონტო საამშენებლო სამუშაოებს, ასევე უწევდა რეალიზაციას საამშენებლო მასალებს.

2 საწარმოს მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში ორგანიზაციას არ გააჩნია ფილიალი;

2.1 საწარმოს არ გააჩნია წილები დამატებით სხვა საწარმოებში;

3 ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს კომპანიის გრძელვადიან ეკონომიკური დაგეგმარებაში. საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა.

საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავდა რამდენიმე ლოკაციას კერძოდ სადაც აწარმოებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სარემონტო სამუშაოებს.. აღნიშნულ სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო უმკლავდება მარკეტინგული აქტივობისა და ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის მომსახურეობის შეთავაზების ხარჯზე.

როგორც მოგეხსენებათ სარემონტო და საამშენებლო ბიზნესი სწრაფად მზარდი საქმიანობა იყო.

საწარმოს მიაჩნია, რომ ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.

დღეის მდგომარეობით, კომპანიის ფუნქციონირებადობა დადგა ეჭვს ქვეშ. შესაბამისად მისი ფინანსური სტაბილურობა არადაამაკმაყოფილებელია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.
- კომპანიის ხელმძღვანელობას კარგად ესმის ვირუსის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, და სრულად აქვთ გააზრებული მისი დამანგრეველი ეკონომიკური შედეგები. დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე. კომპანიამ კი დაამტკიცა COVID-19-თან სამოქმედო გეგმა ის უძღურია ამ ეკონომიკური კრიზისი დროს. ჩვენს შესაძლებლობებს მოკლებულია კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება თუ მას არ ეყოლება მომხმარებელი, ხოლო როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში მშენებლობები და რემონტები თითქმის სრულად გაჩერებულია.

4. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფა, შიდა კონტროლის პროცედურები:

საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას ბუღალტერიის მეშვეობით ახორციელებს ორისის ბუღალტერიაში.

მომდევნო საანგარიშო პერიოდში იგეგმებოდა საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფა;

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

დაგეგმილი იყო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიის დახვეწა.

5. საწარმოს ურთიერთობა არარეზიდენტ კომპანიებთან

საწარმოს კომერციული პარტნიორები არიან როგორც ადგილობრივი კომპანიები ასევე არარეზიდენტები.

6. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სპეციალური უნიფორმით,

სეზონის შესაბამისად;

შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო თანამშრომლებისათვის.

საზოგადოება სრულად ადაპტირებულია შრომის უსაფრთხოების კანონით მოთხოვნილ ნორმებთან, მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი მონიტორინგი

7. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

7.1 კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო წელში რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 22 შეადგენდა.

8 სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

9 უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

2020 წლის 31 დეკემბერი

1 აშშ დოლარი - 3.2766

1 ევრო - 4.0233

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 25 აგვისტო.

10 მნიშვნელოვანი მოვლენები:

10.1 დაგეგმილი იყო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიის დახვეწა.

10.11 საგადასახადო ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობის კონტროლის გაადვილების მიზნით ბუღალტრულ აღრიცხვაში საგადასახადო ვალდებულებების სუბანგარიშების სააღრიცხვო ბარათების პარალელურად ნაერთი საგადასახადო-სააღრიცხვო ბარათის შემოღებამ გააუმჯობესა საგადასახადო ვალდებულებების შიდა კონტროლი.

11 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

11.1 მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვანგარიშგებაში.

11.2 საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და `ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ` საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

11.3 მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.

11.4 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის – ფინანსური ინფორმაცია.

11.5 საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

11.6 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

11.6.1 ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;

11.6.2 საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;

11.6.3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;

11.6.4 კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;

11.6.5 განმარტებით შენიშვნებს.

12 განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

12.2 ფულადი სახსრები:

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალცალკე, პირდაპირი მეთოდით

	2020 წელი	2019 წელი	
ნაღდი ფული საღაროში	79858	73423	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	115093	374900	-
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	200685	286770	-
	395636	735093	-

12.3 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის _ 31 დეკემბერს არსებული კურსით;

1 აშშ დოლარი - 3.2766

1 ევრო - 4.0233

12.4 შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

12.5 საწარმოს საანგარიშგებო წელს გადახდილი ავანსები ძირითადად საამშენებლო სამუშაოებისათვის და თანაც უიმედოდ უფიქსირდება 1205 ლარი რაც ასახულია ანგარიშგებაში.

13 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება

თვითღირებულებით.

13.1 საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 455828 ლარის ხოლო წლის ბოლოს 367486 ლარის. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილია 823067 ლარის სასაქონლო მატერიალური მარაგი. სასაქონლო მარაგი გახარჯულია შესრულებული სამუშაოებისათვის (ფორმა 2 მიხედვით) და ასევე გაყიდული საქონელის მიხედვით. საქონელი ჩამოწერლია თვითღირებულებით.

13.2 დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

13.3 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

13.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით/ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები/ბარათები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნაღების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

13.5 საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია

13.6 დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

13.7 მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მოდელით;

14 გადასახადები

14.1 მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის

მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

14.2 საანგარიშო პერიოდში კომპანიამ დაარიცხა და გადაიხადა 368421 ლარი დივიდენდი და 65015 ლარი მოგების გადასახადი.

15 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

15.1 ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი მეთოდით

ძირითადი საშუალებები (გარდა შენობა-ნაგებობისა) 84680 ლარი

სატრანსპორტო საშუალება 59923 ლარი

შენობა- ნაგებობა- 67448 ლარი

აღნიშნულ პერიოდში გასხვობდა შენობის ნაწილი და ასევე სატრანსპორტო საშუალება რომელიც გაიყიდა საბაზრო ღირებულებით და აისახა შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	2020წლის საწყისი	შემნა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალება	149623	67415	82208		7305	14980	59923
შენობები	170200	44144	126056		54580	4028	67448
მანქანა-დანადგარები	166653	109793	56860	5669	0	12011	50518
ოფისის აჭურვილობა	19930	9940	9990			1998	7992
ავეჯი და სხვა ინვენტარი	57389	27325	30064	2118		6012	26170

16 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, კომპანია 2020 წელს გადახდილი აქვს 14765 ლარი.

17 სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან, რომლებიც ძირითადად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ. კერძოდ კომპანია ახორციელებს საამშენებლო სარემონტო კონტრაქტებს მოგეხსენებათ სანამ არ დასრულდება სამუშაოები კომპანიებს შორის არსებობს მოთხოვნები რაც ასახულია ანგარიშგებაში.

კომპანია არემონტებდა სს თიბისი ბანკების ფილიალებს, ასევე შპს კოხტა რუმს ჰოტელ მენეჯმენტის ობიექტს, ასევე შპს კოხტა დეველოპმენტის ობიექტს. ქონდა წვრილწვრილი ობიექტებიც

18 . ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომუნიკაციის ხარჯი-1356 ლარი

საბანკო ხარჯი -28657 ლარი

სხვა ხარჯი - 200957 ლარი აღნიშნული თანხა მდგომარეობს საამშენებლო სამსახურისთვის სხვა კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას.

20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	15	-7480
--	----	-------

საკურსო სხვაობებიდან წარმოქნილი ზარალი.

21 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 25 აგვისტოს

შპს „ნანო სტილი“

დირექტორი:

ბუღალტერი:



ვ. შველიძე

თ. ცუცქერიძე